შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

ფორმაზე, შინაარსზე ორიენტირებული და შერეული მიდგომების შედარება ლიტერატურაზე დაფუძნებულ სწავლებაში ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა სასაუბრო უნარ-ჩვევების განსავითარებლად (ინგლისური ენის მასწავლებლების მომზადებისას იშიკი უნივერსიტეტში, ერაყი)

სადოქტორო დისერტაციის აბსტრაქტი განათლების მეცნიერებებში

ჩაღრი თუღრულ მართ

სადოქტორი დისერტაცია განათლების მეცნიერებებში

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ეკატერინე ფიფია

პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შეესაბამება სფეროს,წარმოადგენს სიახლეს, მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებებს და წარმოდგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმატით.

_____

ექსპერტები:

1. ნათელა დოღონაძე, პროფესორი, დოქტორი
2. მარიამ ბანძელაძე, ასოცირებული პროფესორი

ოპონენტები:

1. ირა დანელია, ასოცირებული პროფესორი
2. ნინო ნიჟარაძე, ასოცირებული პროფესორი

შესავალი

შესავალში განხილულია საკვლევი თემის მიზანი, აქტუალურობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, პრობლემა, საკვლევი კითხვები, კვლევის ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდები, სიახლე, თეორიული ჩარჩო და დისერტაციის სტრუქტურა.

საკვლევი თემის მიმოხილვა

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საკმაოდ ბევრი კვლევა ჩატარდა ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების სფეროში. ასევე, ამ კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო მეორე ენის ათვისებისას ფორმალური სწავლების ზეგავლენას, რაც თავისმხრივ განპირობებული იყო მაღალი დონის ლინგვისტური კომპეტენციის ფლობის აუცილებლობით ენის სწავლისას. თუმცა, უკანასკნელ წლებში მთელმა ყურადღებამ ენის სტრუქტურული თვისებების გააზრებიდან მნიშვნელობის გაგებაზე და გამოხატვაზე გადაინაცვლა. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, ფორმალური და კომუნიკაციური ენის სწავლების ეფექტური ინტეგრაცია გახდა მნიშვნელოვანი მიდგომა უცხო და მეორე ენის სწავლების მეთოდებში.

ქრაშენი (Krashen, 1981, 1982, 1985), მის ცნობილ მეორე ენის შესწავლის თეორიაში ამტკიცებს, რომ ენობრივი კომპეტენციის განვითარების სასურველი შედეგი შეიძლება უფრო მიღწევადი გახდეს, თუ მოხდება გასაგები ინფორმაციის მიწოდება, ვიდრე ეს არის გრამატიკული წესების შეგნებული გამოყენება. ის ამტკიცებს, რომ გააზრებული ინტერაქცია შესასწავლ ენაში ხელს უწყობს ენის სრულყოფილად დაუფლებას.

მე -20 საუკუნის დასაწყისში, ლიტერატურა ენის სწავლების პროგრამებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა და გულისხმობდა მის გამოყენებას ენობრივი სტრუქტურების შესასწავლად (Durant, 1995).

1960-70-იანი წლების ბოლოს, ლიტერატურის სწავლებისას არ ჩანდა სტანდარტული გრამატიკული წესების შესაბამისობა (Topping, 1968) და ზოგადად გავრცელებული ფაქტი გახლდათ ის, რომ ლიტერატურა რთული და მიუწვდომელია მოსწავლეებისთვის (Vincent & Carter, 1986).

1970 -1980 წლების ბოლოს, ლიტერატურამ ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უცხო ენის შესწავლისას. ენის შესწავლის დროს ლიტერატურის მნიშვნელოვანი ჩართულობა განაპირობებს სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის მაღალ დონეზე განვითარებას. ბევრი კვლევა ამტკიცებს (Durant, 1995; Duff & Maley, 1990; Collie & Slater, 1987; Ghosn, 2002; Lasagabaster, 1999; Maley, 1989; McKay, 1982; Swaffar, 1985) ლიტერატურის მნიშვნელოვან როლს უცხო ენის სწავლება-სწავლის პროცესში. ეს მიდგომა კი ხელს უწყობს ენის ღრმად შესწავლას, ზოგადი ცოდნის ამაღლებას და აზროვნების უნარების შემუშავებას.

მოსწავლეებისათვის ძალიან იშვიათია, რომ თავიდანვე დაეუფლონ მაღალი დონის კომუნიკაციის უნარებს მეორე თუ უცხო ენის შესწავლის კონტექსტში. შესაბამისად, ლიტერატურით სწავლებისას მხოლოდ შინაარსზე ფოკუსირებამ შეიძლება გამოიწვიოს შესასწავლი ენის მახასიათებლების უგულვებელყოფა, რაც თავის მხრივ ენის შესწავლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. შინაარსზე და ფორმაზე ორიენტირებული სწავლება კი ამ მნიშვნელოვანი ფაქტორების ეფექტურ შერწყმას ითვალისწინებს (Day & Shapson, 2001).

სასწავლო პროცესში გამოყენებული დისკუსიები ლიტერეტურის შესახებ უდავოდ ემსახურება მოსწავლის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას.

ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომები მნიშვნელოვან პედაგოგიურ ჩარჩოდ მიიჩნევა მეორე ენის შესწავლისას (Valeo, 2013); ამიტომაც ვიმედოვნებთ, რომ დისკუსიები შინაარსზე და შემდგომ, ფორმაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობები განაპირობებს ენის შესწავლის მნიშვნელოვნობას.

კვლევის მიზანი

ენა და ლიტერატურა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. ენის სწავლებისას ლიტერატურის ინტეგრირება ხელს უწყობს მის მაღალ დონეზე დაუფლებას (Ghosn, 2002; McKay, 1982).

ენის შესწავლის პროცესი მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას გულისხმობს, კერძოდ: ენობრივი სტრუქტურების ცოდნა, კითხვის უნარი, მდიდარი ლექსიკა, აზროვნების უნარ-ჩვევები და კულტურული ცნობიერება. შესაბამისად, ენის სწავლის პროცესში ლიტერატურის ჩართულობით, მოსწავლეები შესძლებენ ენობრივი კომპეტენციის დახვეწას. მსგავსი მიდგომა, ასევე, მნიშვნელოვანია ზეპირი და წერითი კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარებისათვის (Barnitz, Gipe & Richards, 1999).

აღსანიშნავია, რომ დისკუსიებს ლიტერატურულის შესახებ აქვს უსაზღვრო შესაძლებლობები ენის შემსწავლელს განუვითაროს არა მარტო კომუნიკაციის უნარი, არამედ კრიტიკული აზროვნების უნარი (Eeds & Wells, 1989). ამ მიდგომების შედეგად ვითარდება სწავლების ინტერაქტიული გარემო, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გადმოსცეს საკუთარი ხედვები და მოსაზრებები შინაარსზე და შინაარსიდან გამომდინარე საკითხებზე. ლიტერატურის კითხვა განაპირობებს მნიშვნელოვანი დასკვნის მომზადებას. ამრიგად, ლიტერატურის გამოყენება ენის სწავლებისას სასარგებლო რესურსია შედეგის მისაღწევად. პრეზენტაციები ლიტერატურის შესახებ ხელს უწყობს უცხოური ენის შემსწავლელთა სასაუბრო ენარ-ჩვევების განვითარებასა და მოსაწვლეებში მოტივაციის დონის ამაღლებას (Nystrand, 2006). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის პრეზენტაციებში და დისკუსიებში ყურადღება ექცევა ფორმასაც და მნიშვნელობასაც, რასაც თავისმხრივ მივყავართ სასურველ შედეგამდე. ამ თვალსაზრისით, საკლასო დისკუსიები ლიტერატურის შესახებ გულისხმობს მოსწავლის სრულად ჩართვას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი კლევა მიზნად ისახავს იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლასა და გაანალიზებას, რაც ხელს შეუწყობს ენის შემწავლელებისათვის ინტერაქტიული გარემოს შექმნას და მათი ცოდნის შემდგომ აქტიურად გამოყენებას.

ამ მიზნით, კვლევაში წარმოდგენილია ფორმაზე და შინაასზე ორიენტირებული და შერეული მიდგომების შედარება ლიტერატურაზე დაფუძნებულ სწავლებაში ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა სასაუბრო ენარ-ჩვევების განსავითარებლად

პრობლემა

ლიტერატურაზე ორიენტირებული საკლასო აქტივობების შედეგად ნათელი გახდა ენის შემსწავლელებისთვის ლიტერატურის მნიშვნელოვანი როლი ენის გამოყენების სხვადასხვა ასპექტებში (Kramsch, 1985). 1970 წლიდან, მიუხედავად ჩავარდნებისა, ლიტერატურა უცხოური ენის სწავლებში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ლიტერატურა არასაკამრისად გამოიყენებოდა საუნივერსიტეტო დონეზე. გარდა ამისა, ლიტერატურის როლი იყო ან ენის სიზუსტით შესწავლა ან მხოლოდ შინაარსზე ორიენტირებული დისკუსიები. არსებობს ძალიან ცოტა კვლევა, რომელიც სწავლობს ლიტერატურის როლს გრამატიკისა და სასაუბრო ენარ-ჩვევების განვითარების პროცესში.

ლიტერატურული ნაწარმოებების გამოყენებით შინაარსობრივად გამდიდრებული და ფორმაზე ორიენტირებული ენის სწავლების მეთოდი მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს. ლიტერატურა საფუძველს უდებს ჯგუფურ დისკუსიებს; ამდენად, მას კომუნიკაციური ღირებულება გააჩნია (Shanahan, 1997). წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს დაამტკიცოს ლიტერატურული განხილვების დროს ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების ეფექტური გამოყენება. ამ მიდგომების შედეგად შემენილი ლინგვისტური ფორმები ენის სრულყოფილად გამოყენების საშუალება გახლავთ (Spada & Lightbown, 2008). სასაუბრო უნარ-ჩვევების განმავითარებელი დავალებების გამოყენება აუცილებელია უცხოური ენის შესწავლისას მათი ბუნებიდან გამომდინარე. დისკუსიები ლიტერატურის შესახებ მიზნად ისახავენ მოსწავლეებს განუვითარონ ენობრივი ფორმები და შემდგომ, მოახდინონ მათი ინტეგრაცია კომუნიკაციის დონეზე (Nystrand, 2006).

კვლევის დასაბუთება

ლიტერატურის ენის სწავლების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების პედაგოგიური დასაბუთება სწორედ მის ეფექტურობაშია. ლიტერატურის გამოყენების მთავარი წინაპირობა მდებარეობს იმაში, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს კონტექსტურად შეისწავლოს ენის სტრუქტურა და ფორმები და შემდგომ აქტიურად გამოიყენოს საუბრისას. ლიტერატურული ნაწარმოები ყოველთვის შეიძლება იყოს განხილვის საგინი, რაც ენის შემსწავლელს აძლევს საშუალებას ენა გასაგები და კრეატიული ფორმით გამოიყენოს. ლიტერატურის ინტეგრირება აუცილებელია შინაარსობრივი და მნიშვნელობის მქონე კომუნიკაციური სიტუაციების შესაქმნელად (Redmann, 2008). ლიტერატურის საშუალებით შესაძლებელი ხდება უცხოურ ენაში სასაუბრო უნარების განვითარებისათვის სხვადასხვა და მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა. ენის სტრუქტურული და ფუნქციური ასპექტების ინტეგრირება კომუნიკაციური უნარის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ ენის სწავლება არ მოიაზრებს კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას,მაშინ როდესაც ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ენის თვისებებზე და მახასიათებლებზე. აქიდან გამომდინარე, შეიძლება იმის დასკვნა, რომ მხოლოდ მნიშვნელობაზე დაფუძნებული სწავლება არ არის ენის შესწავლის ეფექტური საშუალება. ფორმაზე და მნიშვნელობაზე ერთდროულად ორიენტირებული მიდგომები ენის შემსწავლელებს საშუალებას აძლევს სრულყოფილად დაეუფლონ ენას (Norris & Ortega, 2000; Spada, 1997). ინტერაქცია აძლევს ენის შემსწავლელებს საშუალებას გაიაზრონ და გაითავისონ მნიშვნელობა და ლინგვისტური მახასიათებლები. კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება შესასწავლი ენის პროდუქტიულ გამოყენებას გულისხმობს (Swain, 1985). ამ თვალსაზრისით, ლიტერატურას აქვს პოტენციალი გაამდიდროს ენის კომუნიკაციური გამოყენების საშუალება გრამატიკული სტრუქტურით და მოგვცეს სრულყოფილი სურათი (Shanahan, 1997). აზრი იბადება ლიტერატურულ დისკუსიებში და ხელს უწყობს ანალიტიკური უნარის ჩამოყალიბებას. ამ

თვალსაზრისით, ლიტერატურას შეუძლია შეავსოს ის სიცარიელე, რასაც მხოლოდ ფორმაზე ორიენტირებული ენის სწავლებისას ვაწყდებით. წარმოდგენილი კვლევა ხაზს უსვამს გრამატიკული ფორმებისა და ენის კომუნიკაციური მახასიათებლების ერთობლივი ინტეგრირების აუცილებლობას უცხოური ენის მაღალ დონეზე შესწავლისას. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიგომები შედარებულია ლიტერატურულ განხილვებში და ითვალისწინებს შინაარსობრივი დისკურსის წარმოქმნას. წარმოდგენილი ექპერიმენტის მიზანია შექმნას ფორმისა და შინაარსის ბალანსი შერეული მიდგომების გამოყენებით.

საკვლევი თემის მნიშვნელობა

წარმოდგენილი კვლევის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლიტერატურა ენის შესწავლისთვის ქმნის ძალიან მდიდარ გარემოს და აძლევს მოსწავლეს საშუალებას შეისწავლოს სამიზნე ენის ფორმები და კომუნიკაციური მახასიათებლები. უცხო ენაზე თავისუფლად და გრამატიკული სიზუსტით საუბრის უნარი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენის შესწავლისას. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ, ბევრი ენის შემსწავლელთათვის საუბარი უცხოურ ენაზე გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ ლიტერატურა გვთავაზობს ფორმისა და შინაარსის ფართო სპექტრს (Paran, 2008), ეს კვლევა მიზნად ისახავს ლიტერატურისა და ენის სწავლების ინტეგრირების ეფექტურობის დამტკიცებას სასაუბრო უნარ-ჩვევენის განვითარებაში.

იმ უცხოური ენის სწავლების პროგრამებში, სადაც ლიტერატურის როლი დაკნინებულია, არარეალურად მიიჩნევა ენობრივი კომპეტენციის განვითარება. ენის შემსწავლელებს ლიტერატურის გამოყენებით ძალიან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლიათ. წარმოდგენილი კვლევა იკვლევს იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია კარგად დაგეგმილი საკლასო დისკუსიები ენობრივი კომპეტენციისა და ზოგადი ცოდნის ამაღლებისთვის.

საკვლევი კითხვები

დისერტაციის საკვლევი კითხვებია:

1) ანვითარებს ლიტერატურაზე დაფუძნებული სწავლება ინგლისური ენის სწავლებისას ენის შემსწავლელის ენობრივ კომპეტენციას?

2) ახერხებს ლიტერატურაზე დაფუძნებული სწავლება ლინგვისტური კომპეტენციის ცოდნასა და შემდგომში, მის გამოყენებას შორის არსებული სიცარიელის შევსებას?

3) ლიტერატურაზე დაფუძნებული სწავლების რომელი მიდგომაა ყველაზე მეტად ეფექტური: ფორმაზე, შინაარსზე ორიენტირებული თუ შერეული მიდგომები?

4) როგორ შეიძლება ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრაცია ლიტარუტურაზე დაფუძნებულ მიდგომაში?

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევის ჰიპოთეზაა:

1) ფორმაზე ორიენტირებული და ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრაცია ქმნის შესაძლებლობებს მოხდეს გრამატიკის გამოყენება კომუნიკაციური მიზნებისთვის .
2) ენისა და შინაარსის სწავლების ინტეგრირება ხელს უწყობს კომუნიკაციური მიზნებისთვის ინტერაქტიული გარემოს შექმნას
3) შერეული მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც ფორმასა და შინაარსს შორის არსებობს, რაც თავისმხრივ საშუალებას მისცემს მოსწავლეებს შეისწავლონ ენა უფრო ეფექტურად.

კვლევის მეთოდები

ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად. შერჩეული მეთოდი ყველაზე მიზანშეწოლილად იქნა მიჩნეული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდების გზებით გამოეკვლია ცვლადების გავლენა შედეგებზე; შესაბამისად, ექსპერიმენტულმა კვლევამ მოგვცა საშუალება, რომ შევაფასოთ კვლევის საკითხთან არსებული სხვადასხვა გავლენები და შედეგები. ექსპერიმენტული კვლევა ჩატარდა ლიტერატურის კლასებში საუნივერსიტეტო დონეზე. შემდგომი ლიტერატურული ნაწარმოები შეირჩა ექსპერიმენტისთვის: Great Gatsby და Lord of the Files. ჯგუფი 60 დამამთავრებელი კურსის სტუდენტისგან შედგებოდა ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით. ამ ორი ნაწარმოების ჟანრი, სტილი და ლიტერატურული ხერხები უამრავ შესაძლებლობას აძლევდა სტუდენტებს ლიტერატურული დისკუსიების მოწყობისათვის.

მონაცემების შეგროვებას ერთი სემესტრი დაეთმო. მათი შეგროვება განხორციელდა კითხვარების, წინასწარი და შემდგომი შეფასებების, საკლასო ლიტერატურული დისკუსიების დაკვირვების და ინტერვიუების შემდგომი გააანალიზების გზებით.

ორივე, წინასწარი და საბოლოო გამოკითხვის კითხვარი მოიცავდა ერთი და იგივე კითხვებს, რათა გამოევლინა მოსწავლეთა დამოკიდებულება უცხოური ენის სწავლის პროცესში ლიტერატურის როლის შესახებ. წინამდებარე, შუალედური და საბოლოო განმეორებითი ტესტები ჩატარდა მონაწილეთა ენობრივი პროგრესის შესამოწმებლად.

თითოეული ტესტი ორი ნაწილისგან შედგებოდა: გრამატიკა და ლექსიკა. ტესტი შედგებოდა 50 კითხვისგან. სამივე ჯგუფმა (ფორმაზე, შინაარსზე ორიენტირებული და შერეული მიდგომების) წარმოდგენილ კვლევაში სხვადასხვა შედეგი აჩვენა. (პირველმა ჯგუფში იყო ფორმაზე ორიენტირებული და ლიტერატურაზე დაფუძნებული კომპონენტებით გაჯერებული სწავლება; მეორე ჯგუფში იყო

შინაარსზე ორინეტირებული და ლიტერატურაზე დაფუძნებული კომპონენტებით გაჯერებული სწავლება; მესამე ჯგუფში კი შერეული მიდგომებით განხორციელდა სწავლება). ჩატარდა არაფორმალური ინტერვიუ ყველა მონაწილესთან, რათა გაგვეგო მათი ზოგადი წარმოდგენები ჩატარებული ექსპერიმენტის პროცესისა და შედეგების შესახებ. კვლევის ფარგლებში, ასევე გაკეთდა მონაწილეთა ლიტერატურული დისკუსიების დროს გაკეთებული გამონათქვამების ანალიზი.

სიახლე

თეორიულმა მიმოხილვამ და კვლევამ ცხადად გვაჩვენა არალინგვისტური შინაარსის სწავლების შედეგები და ზეგავლენა უცხოური ენის სწავლების პროცესზე. აღსანიშნავია რომ ბევრი კვლევა ჩატარდა ენისა და შინაარსის ინტეგრირების ეფექტებზე (Tedick & Cammarata, 2012; Pica, 2002), მაგრამ მათგან ძალიან ცოტა ეხება ენისა და შინაარსის ინტეგრაციას ლიტერატურული ტექსტების გამოყენებით (Schulz, 1998). კერძოდ, ღრმად არ არის შესწავლილი სტრუქტურისა და შინაარსობრივი სწავლების ინტეგრირებული მოდელი უცხოურ ენაში სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. კვლევა წარმოადგენს ენის სწავლებაში უახლესი მოდელის შემუშავებას და მისი შედეგების ანალიზს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსგავსი ტიპის კვლევა პირველად ჩატარდა ამ ქვეყანაში. წინამდებარე კვლევის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ შეგროვდა სხვადასხვა სახის მონაცემები, რომლებიც შემდგომში არის განხილული და გაანალიზებული.

თეორიული სტრუქტურა

კვლევის ამოსავალი თეორია გახლავთ მკითხველის რეაგირების თეორია (Rosenblatt, 1960, 1974, 1977, 1978, 1985), რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ლიტერატურა აკავშირებს მკითხველსა და ტექსტს. ამ თეორიის მიხედვით, შინაარსი აღიქმება მკითხველსა და ტექსტს შორის დამყარებული ურთიერთკავშირის შედეგად. მკითხველი ძალიან აქტიურია კითხვის პროცესში და მისი დამოკიდებულება

ტექსტისადმი ქმნის შინაარსის აღქმის სხვადასხვა ფორმებს. ესთეტიურობის თვალსაზრისით, მკითხველი შემეცნებითი და ემოციური მომენტების გამოყენებით აკეთებს საკუთარ დასკვნებს. ეფერენტულობის თვალსაზრისით, მკითხველი იწოვს ტექსტისგან მიღებულ ინფორმაციას. უდავოა მკითხველის როლი ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციებში, დასკვნების გაკეთებაში და შინაარსის აღქმაში. როგორც რეზონბლატი აღნიშნავს, ლიტერატურის კითხვა ერთგვარი პროცესია, სადაც ტექსტი მხოლოდ ინტერპრეტაციის წყაროა და მკითხველი კი მნიშვნელოვანი ფიგურა მისი შინაარსის აღქმის პროცესში (Resonblatt 1995).

ლიტერატურის შესახებ საკლასო დისკუსიები ხელს უწყობს ენის შემსწავლებლებს უფრო მეტად გაიაზრონ კავშირი ტექსტსა და მის შინაარს შორის (Rosenblatt, 1974). ასევე ეს პროცესი წაახალისებს სტუდენტებს გააკეთონ საკუთარი ინტერპრეტაციები, რომელიც თავის მხრივ ეხმარება მათ დახვეწონ სასაუბრო უნარ-ჩვევები. მკითხველი სხვადასხვა როლს ირგებს ლიტერატურული ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში აღქმისას, რომელიც ხელს უწყობს აქტიურ და აზრიან კითხვას და ზრდის ემოციურ და ინტელექტუალურ მონაწილეობას ტექსტის აღქმაში. საკლასო განხილვები ლიტერატურის შესახებ გაუადვილებს მოსწავლეებს გამოხატონ თავიანთი ემოციები, რეაქციები, მივიდნენ ლოგიკურ პასუხამდე, გააკეთონ შესაბამისი ინტერპრეტაციები და გამოხატონ საკუთარი აზრი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მსგავსი მიდგომების შედეგად მოსწავლეს შეუძლია დიალოგში აქტიური მონაწილეობა და ლიტერატურასთან დაკავშირებული კითხვების დასმა, რაც თავისთავად გულისხმობს მათი ცნობიერების დონის ამაღლებას (Jewell & Pratt, 1999; Lehman & Scharer, 1996). შინაარსის აღქმის პროცესში ხდება სხვადასხვა კულტურების აღქმა, რაც ზრდის მოსწავლეების აზროვნების უნარს.

კვლევის თეორიულ ჭრილში მნიშვნელოვანია ქრაშენის მეორე ენის შეთვისების თეორია (Krashen 1981, 1982, 1985) რომელიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ რომ ენობრივი კომპეტენციის განვითარების სასურველი შედეგი შეიძლება უფრო მიღწევადი გახდეს,

თუ მოხდება გასაგები ინფორმაციის მიწოდება, ვიდრე ეს არის გრამატიკული წესების შეგნებული გამოყენება. ქრაშენი ამტკიცებდა, რომ შინაარსობრივად მდიდარი, აზრიანი ინფორმაციის მიწოდება საკმარისი იყო ენის სწავლებისათვის (Krashen 1982). ეს თეორია ითვალისწინებს ინფორმაციის გასაგები გზით მიწოდებას და დაფუძნებულია პრინციპებზე, რომლის მიხედვითაც ენის შემსწავლელებმა მიზანშეწოლილად უნდა გამოიყენონ შესასწავლი ენა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

მიუხედავად იმისა, რომ იზრდება კვლევების რაოდენობა ლიტერატურის მნიშვნელოვან როლზე უცხოური ენის მაღალი დონის შესწავლის პროცესში (Paesani, 2005; Henning, 1993), ბევრი კვლევა ეხება გრამატიკული ფორმებისა და შინაარსის სწავლების ინტეგრირებას კომუნიკაციური მიზნებისთვის (Mantero, 2002). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენის სწავლებისას კომუნიკაციისათვის ეფექტური გარემოსა და კლიმატის შექმნას (Richards & Rodgers, 2011). წინამდებარე კვლევა ეხება ინგლისურის, როგოც უცხოური ენის შემსწავლელთათვის სასაუბრო უნარის განვითარებას ისეთი სტრატეგიებისა და საკლასო აქტივობების განხორციელებით, რომლებიც ერთმანეთს დააკავშირებს ლიტერატურასა და ენას. ლიტერატურა საკმაოდ პრაქტიკულია, რაც იძლევა ენის სწავლებისთვის საჭირო მრავალფეროვანი მიდგომების შემუშავების საშუალებას. კვლევის შედეგებმა შეიძლება არა მხოლოდ მასწავლებლებს მისცეს სტიმული გამოიყენონ ლიტერატურა ენის სწავლების პროცესში, როგორც ზეპირი და წერილობითი კომპეტენციის განმავითარებელი, არამედ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთონ თვითონ მოსწავლეები.

იმედი გვაქვს, კვლევა თავის წვლილს შეიტანს თავისი ექპერიმენტით, რომ დაამტკიცოს ლიტერატურის მნიშვნელოვანიო როლი კომუნიკაციური უნარის განვითარებისთვის. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევაში ჩატარებული ექსპერიმენტი ამტკიცებს, რომ ენისა და ლიტერატურის ინტეგრაცია არის ეფექტური მიდგომა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. კვლევა, ასევე, მხარს

უჭერს ფართოდ გავრცელებულ იმ მიდგომას, რომ ლიტერატურის საკლასო დისკუსიებში გამოყენება იმოქმედებს როგორც მოსწავლეების მოტივაციაზე, ასევე მათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განმავითარებაზე.

თავების ორგანიზება

აღნიშნული კვლევის დეტალები წარმოდგენილია ოთხ თავად. პირველი თავი ეხება ლიტერატურის მიმოხილვას. მეორე თავი წარმოადგენს კვლევაში გამოყენებული მიდგომების ანალიზს, სადაც ფორმაზე, შინაარსზე ორიენტირებული და შერეული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა აქტივობები და პრაქტიკული დავალებებია აღწერილი. მესამე თავი მოიცავს ინფორმაციას ლიტერატურული ტექსტების ეფექტურობაზე. მეოთხე თავი განმარტავს წინამდებარე კვლევაში განხორციელებულ მეთოდოლოგიურ ნაწილს, კვლევის შედეგებს, დასკვნებს და წარმოადგენს შემდგომი კვლევის განვითარების შესაძლებლობებს. კვლევა სრულდება გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მითითებებითა და დანართებით.

თავი 1

ლიტერატურის მიმოხილვა -ლიტერატურის გამოყენება სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის

ლიტერატურაში აუთენტური ენა გამოიყენება, რომელიც ასახავს ადამიანის გამოცდილებას, გრძნობებსა და რწმენებს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ლიტერატურის გამოყენება სწავლების პროცესში სადავო საკითხი იყო, თანამედროვე ეპოქაში ის დამკვიდრდა, როგორც ენის სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი. ლიტერატურის გამოყენება ენის შესწავლის პროცესში მოტივაციისა და ცოდნის გაღრმავების პირდაპირპროპორციულია. ლიტერატურის გამოყენება ენობრივი კომპეტენციის დონის ზრდასთან, სხვადასხვა კულტურების გაცნობიერებასთან და პიროვნულ ზრდასთანაა დაკავშირებული. მოსწავლეები ეცნობიან ენობრივ მახასიათებლებს ლიტერატურული ტექსტების დახმარებით.

ლიტერატურა განავითარებს ენის შემსწავლელთა კრიტიკულ აზროვნებასა და ინტელექტუალურ განვითარებას. ლიტერატურული ტექსტები ეხმარება მოსწავლეებს სამყაროს შეცნობაში. ლიტერატურა ანვითარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციურ კომპეტენციებს. ლიტერატურული დისკუსიების ჩართვა სასწავლო პროცესში ქმნის ინტერაქტიულ გარემოს. გარდა ამისა, ლიტერატურული დისკუსიები ეხმარება მოსწავლეებს აიმაღლონ ზოგადი განათლებისა და ცნობიერების დონე. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ლიტერატურული დისკუსიები აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, რომ თავიანთ ინტერპრეტაციები გადმოსცენ სიტყვიერად.

თავი 2

ლიტერატურული დისკუსიების პრაქტიკულად განხორციელების სტრატეგიები ფორმაზე, შინაარსზე ორიენტირებული და შერეული მიდგომების გამოყენებით

ფორმაზე ორიენტირებული სწავლება ეხმარება მოსწავლეს მიაღწიოს ლინგვისტური კომპეტენციის ფლობის უმაღლეს დონეს. ლინგვისტური ფორმების შესწავლა ხელს უწყობს ენის სტრუქტურული მახასიათებლების კონტექსტურად გამოყენებას. უკუკავშირი ფორმაზე ორიენტირებული სწავლების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების დონის ამაღლებას. შინაარსზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს ენისა და შინაარსის ინტეგრირებას სწავლის პროცესში. ამ მიდგომის საშუალებით, მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფორმა და მნიშვნელობა ერთმანეთთან, გამოიყენოს დისკურსის ინტერაქციისთვის, რაც თავის მხრივ გულისხმობს მისი ენობრივი კომპეტენციის ზრდას.

რადგან ორივე მიდგომა ხასიათდება უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით, მნიშვნელოვანია, მოხდეს ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრირებული გამოყენება ლიტერატურაზე დაფუძნებულ კლასებში. ამ ორი მიდგომის ინტეგრირებულად გამოყენება შეავსებს მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ამ მოდელის მეშვეობით, მოსწავლეები უფრო ადვილად აღიქვამენ უცხოურ ენას კონტექსტში და სწავლობენ შინაარს, რაც მათ ეხმარებათ მნიშვნელობის მქონე დისკურსის შექმნაში და გამოყენებაში. მარტივად რომ ვთქვათ, გრამატიკული სიზუსტისა და შინაარსის გაგების გაუმჯობესება ენობრივი კომპეტენციის ამაღლებაზე აისახება.

თავი 3- კვლევა

აღსანიშნავია ლიტერატურის მნიშვნელოვანი როლი უცხოური ენის შესწავლის პროცესში. ზემოთ მოყვანილი ლიტერატურული მიმოხილვიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურული ტექსტის გამოყენება არის ეფექტური მოდელი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის უფრო გასაგები გზით მიწოდებასა და ლინგვისტური მახასიათებლების მაღალ დონეზე შესწავლის საშუალებას. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ რეალური მაგალითებით გაჯერებული ლიტერატურული ტექსტები მოსწავლეს ეხმარება ფუნქციური ენის შესწავლაში და შემდგომ, მის კომუნიკაციური მიზნებისთვის გამოყენებაში. კვლევის მიზანიც სწორედ ეს იყო, გამოეკვლია ლიტერატურული ტექსტების გამოყენების ეფექტურობა სასაუბრო უნარების განვითარებისთვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოხდა ლიტერატურული ტექსტების ეფექტურობის შესწავლა 2016 წელს აღნიშნულ უნივერსიტეტში და წარმოადგენს სიახლეს, რადგან ამ უნივერსიტეტში მსგავსი კვლევა პირველად ჩატარდა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო გამარტივებული და ლიტერატურული ტექსტების როლის დადგენა ერაყელი სტუდენტების ენობრივი კომპეტენეციის განვითარების პროცესში. გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოლოდინები ლიტერატურული ტექსტების

ეფექტურობის შესახებ ნამდვილად საფუძვლიანია. შედეგებმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტის დროს გამოყენებულმა აუთენტურმა ლიტერატურულმა მასალამ მნიშვნელოვნად აამაღლა მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციის დონე (41,2 %-ით).

თავი 4- კვლევის მეთოდები

1. **კვლევის კონტექსტი**

კვლევა განხორციელდა ინგლისური ენის სწავლების პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით ერაყის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით გამოირჩევა. ინგლისური ენის სწავლების საბაკალავრო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საშუალებით უზრუნველყოფს ენობრივი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის ოთხი ძირითადი კომპონენტის სწავლებას (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებას პირველი ორი წლის განმავლობაში. მესამე და მეოთხე კურსზე, სტუდენტები შეისწავლიან ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის ძირითად პრინციპებს. პროგრამის მიზანი გახლავთ მაღალკვალიფიციური ინგლისური ენის მასწავლებლების მომზადება.

2. **მონაწილეები**

კვლევა ჩატარდა ინგლისური ენის სწავლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან. დაკვირვების პროცესის ხანგრძლივობა კვირაში სამი საათი იყო, გაკვეთილის ხანრგძლივობა - 50 წუთი. გაკვეთილი მიზნად ისახავდა ლიტერატურული ტექსტების ანალიზს. მასწავლებლის ძირითადი ყურადღება ეთმობოდა სასაუბრო უნარის განვითარებას. თითოეულ კლასში იყო 20 სტუდენტი (1 კლასი n =20; 2 კლასი n =20; კლასი n=20). სტუდენტების სამივე კლასში განთავსება მოხდა შემთხვევითობის გზით. საერთო ჯამში 60 სტუდენტი (39 მდედრობითი სქესის და 21 მამრობითი სქესის წარმომადგენლები) გადანაწილდა სამ ჯგუფად, რაც

ოპტიმალურ რაოდენობად მივიჩნიეთ კლასისთვის. პროგრამაში ჩარიცხულმა ყველა სტუდენტმა (60) მიიღო კვლევაში მონაწილეობა. ყველა მონაწილე, რომლის ასაკიც 19-დან 29 წლამდე იყო, პროგრამის დამამთავრებელ კურსზე იყო. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ეროვნებას, 12 სტუდენტი იყო თურქეთიდან, 48 სტუდენი კი - ერაყიდან. კვლევაში მონაწილე ყველა სტუდენტისთვის ინგლისური უცხოური ენა იყო.

3. პროცედურები

უნივერსიტეტიდან კვლევის ჩატარების შესახებ თანხმობის მიღების შემდეგ მოხდა კლასების ორგანიზება. კვლევა 12 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, საიდანაც 26 დღე (26 საათი) დაეთმო მითითებებს და 12 დღე (12 საათი) დაკვირვებებს. ჩატარდა წინასწარი გამოცდა ექსპერიმენტის დაწყებამდე და განმეორებითი გამოცდა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ. კვლევის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ, სტუდენტებს ჩაუტარდათ კიდევ ერთი განმეორებითი გამოცდა. 12 კვირის განმავლობაში პირველმა ჯგუფმა მიიღო ინსტრუქციები, რომელიც გულისხმობდა ფორმაზე ორიენტირებულ და ლიტერატურაზე დაფუძნებულ მოდელს. მეორე ჯგუფში დაიტესტა შინაარსზე ორიენტირებული და ლიტერატურაზე დაფუძნებული მოდელი და მესამე ჯგუფში კი შერეული მიდგომები (ფორმაზე, შინაარსზე და ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომები).

4. შედეგების განხილვა

შედეგების ანალიზი ოთხ ძირითად მიმართულებად შეიძლება განვითარდეს. ლიტერატურის როლი ენის სწავლების პროცესში, კულტურული ცნობიერების განვითარებაში გამოიკვეთა კითხვარებისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზის დროს; ლიტერატურის როლი სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებაში გამოიკვეთა გამოცდების შედეგების ანალიზში და საკლასო დაკვირვების პროცესში. ლიტერატურის უცხოურ ენაზე შესწავლა ემსახურება იმ ეფექტური საკლასო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ენის შესწავლას.

კითხვარებისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ლიტერატურა უცხოური ენის შესწავლის პროცესის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. ლიტერატურაზე დაფუძნებული მოდელის ეფექტურობა სასაუბრო უნარ-ჩვევების განსავითარებლად შერეული მიდგომებით დადასტურდა.

4.1 ლიტერატურის როლი ენობრივი კომპეტენციის განვითარების პროცესში

ცხრილი 4.52. დასკვნები

არეალი	**კატეგორიები**	**რიცხობრივი დასკვნები**
ლიტერატურის გამოყენება ენობრივი კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს.	• ლიტერატურის გამოყენება ღირებული სტრატეგიაა • მოსწავლის დამოუკიდებლობა • აუთენტური მასალები • პროდუქტიული სასწავლო გარემო • სტუდენტების ჩართულობა	• პასუხები პირველ ხუთ შეკითხვაზე (1-5) წინასწარ და განმეორებით გამოცდებში ყველა ჯგუფში: ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.54-დან 3.25-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.56-დან 3.02-მდე) შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.54 -დან 3.6-მდე) • ინტერვიუს შედეგები

		ენის შესწავლა ლიტერატურით ახალი გამოცდილებაა .92 ჩართულობა .87 მოსწავლის დამოუკიდებლობა .78

ლიტერატურის გამოყენება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების დროს საშუალოზე მაღალი დონის სტუდენტებთან მუშაობისას. სტატისტიკურმა კვლევამ აჩვენა სტუდენტების მაღალი ჩართულობა ენის სწავლების პროცესში ლიტერატურის ინტეგრირებისას, რამაც თავისმხრივ განაპირობა მათი მოტივაციის ზრდა. კითხვარებისა და ინტერვიუების ანალიზმა გვაჩვენა კვლევაში მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების მაღალი დონე. აშკარაა ლიტერატურაზე ორიენტირებული მიდგომის როლი მოსწავლის კითხვისა და წერის უნარების, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებების შესახებ დისკუსიებში მონაწილეობის პროცესში (Durant, 1995). გარდა ამისა, ლიტერატურაზე დაფუძნებული აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას ლინგვისტური ფორმებისა და ფუნქციური ენის შეცნობის პროცესში. კავშირი ლიტერატურასთან ზრდის სტუდენტის მოტივაციას და ხელს უწყობს შინაარსის ემოციურად აღქმის პროცესს. კვლევის შედეგები დაემთხვა კოლისა და სლეტერის (1987) მოსაზრებებს ლიტერატურის მნიშვნელოვანი როლის შესახებ ენის სწავლების პროცესში.

ლიტერატურული ტექსტების კითხვა და შემდგომ, მათი კლასში განხილვა ანვითარებს სტუდენტის დამოუკიდებლობას. ინტერვიუს შედეგების ანალიზმა იმ სტუდენტების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გვიჩვენა, რომელიც თვლის რომ ლიტერატურა უდავოდ ზრდის სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხს.

პროდუქტიული საკლასო გარემო სწორედ სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარჯზე მიიღწევა (Olson, 2003). მასწავლებლის როლი, სწორედ, სტუდენტებში ამ პასუხისმგებლობის განვითარებაა (Blau, 2003). წარმოდგენილი კვლევის შედეგები ასევე თანხვედრაშია ლასაგაბასტერის (1999) მოსაზრებასთან, რომელიც ამტკიცებს, რომ ლიტერატურული ტექსტების აუთენტურობა ხელს უწყობს სტუდენტისთვის ავტონომიური გარემოს შექმნას.

ლიტერატურული ტექსტები ეხმარება სტუდენტებს გაეცნონ მრავალფეროვან ლინგვისტურ ფორმებს, რაც თავის მხრივ ენობრივი კომპეტენციის ზრდის საშუალებას გულისხმობს. 70%-ზე მეტმა სტუდენტმა დაუჭირა მხარი ამ მოსაზრებას; ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სტუდენტების 80%-ზე მეტი ფიქრობს, რომ ლიტერატურა განაპირობებს ლინგვისტური სიზუსტეების დადგენას. ეს დასკვნები ემთხვევა McKay (1982); Ghosn (2002); Lazar (1993); and Liaw (2001)-ის მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ ლიტერატურა ანვითარებს ლინგვისტური ცნობიერების გაზრდას, ხელს უწყობს ენის შესწავლას და ენობრივი უნარ-ჩვევები გამოყენებას. ლიტერატურა გულისხმობს ენის გამოყენებას და სთავაზობს მოსწავლეს ენი ფუნქციონალური გამოყენების ყველანაირ კონტექსტს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლიტერატურული დისკუსიების გამოყენება ხელს უწყობს მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებასაც. ამის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურის გამოყენება შეიძლება ენის სწავლებისას სხვადასხვა მიზნებისთვის.

ლიტერატურული ტექსტის გამოყენება შესაძლებელია აუთენტურ მასალად. სტუდენტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ლიტერატურა ენის შესწავლის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნია. აუთენტური მასალის მნიშვნელოვანი როლი გამოიკვეთა კითხვარებისა და ინტერვიუების ანალიზის შედეგად, რაც თანხვედრაში მოდის კოლისა და სლეტერის (1987) ;Swaffar (1985); ელიოტი (1990)-ის მოსაზრებებთან. ლასაგაბასტერი (1999) ამტკიცებს, რომ ლიტერატურული ტექსტი აუთენტურია და ის ამაღლებს ენის ცოდნის დონეს. აუთენტური ტექსტების

ძირითადი როლი შინაარსზე ფოკუსირებაა და გულისხმობს სტუდენტების დამოუკიდებელ ჩართვას ფუნქციური ენის გაცნობიერების პროცესში (Swaffar, 1985).

ლიტერატურული ტექტსები და მათთან დაკავშირებული დისკუსიები ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ენის უკეთესად გაგების პროცესში. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ წიგნიერი გარემო ხელს უწყობს სტუდენტების მაღალი დონის ჩართულობას სასწავლო პროცესში, რასაც დაეთანხმა გამოკითხულთა 87% . უდავოა, რომ ენის შესწავლის საუკეთესო საშუალება სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობაა კომუნიკაციურ აქტივობებში. კვლევის დროს დიალოგის წარმოების საშუალებამ განაპირობა სტუდენტების აქტიური ჩართულობა დისკუსიებში, რამაც საშუალება მისცა მათ ღიად გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები.

4.2 ლიტერატურის გამოყენების ეფექტურობა კულტურული ცნობიერების განვითარების პროცესში

Table 4.53. დასკვნები

არეალი	**კატეგორიები**	**რიცხობრივი დასკვნები**
ლიტერატურის გამოყენება ხელს უწყობს კულტურული ცნობიერების განვითარებას	• სხვადასხვა კულტურული და სოციალური ღირებულებების შეცნობა	• მე-6 და მე-9 შეკითხვაში წინასწარი და განმეორებითი გამოცდების შედეგები ყველა ჯგუფში <u>შეკითხვა 6</u> ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.80-დან 3.50-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.95-დან 3.50-მდე)

		შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.85-დან 3.60-მე) შეკითხვა 9 ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.55-დან 3.25-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.60-დან 3.10-მდე) შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.65-დან 3.50-მდე)

ლიტერატურა მიჩნეულია, როგორც კულტურული ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი სხვადასხვა კულტურული და სოციალური ღირებულებების შეცნობის საფუძველზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საკმაოდ ბევრი სტუდენტი იზიარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურა სხვადასხვა კულტურების შესწავლის საშუალებას იძლევა. ეს მოსაზრება თანხვედრაშია Lasagabaster (1999); Collie and Slater (1987); Alvstad and Castro (2009)-ის დასკვნებთან. სტუდენტების მაღალი კულტურული ცნობიერების დონე გულისხმობს სხვა კულტურებისადმი ინტერესს, პატივისცემას, ტოლერანტობასა და მულტიკულტურულ გარემოში ინტერაქციის უნარს (Kim, 2004). უფრო მეტიც, ენასა და კულტურას შორის არსებული მჭიდრო კავშირი ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას (Lasagabaster, 1999).

4.3 ლიტერატურის გამოყენების ეფექტურობა პირადი განვითარებისათვის

ცხრილი 4.54. დასკვნები

არეალი	**კატეგორიები**	**რიცხობრივი დასკვნები**
ლიტერატურის გამოყენება ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას	კრეატიულობა / კრიტიკული აზროვნება	• მე-7, 8 და მე-10 კითხვების პასუხები შედეგები გამოკითხულთა ყველა ჯგუფში <u>შეკითხვა 7</u> ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.85-დან 3.60-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.95-დან 3.60-მდე) შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.95-დან 3.70-მდე) <u>შეკითხვა 8</u> ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.65 -დან 3.50-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.70 -დან 3.40-მდე) შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.55 -დან 3.70-მდე) <u>შეკითხვა 10</u> ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.85 დან 3.30-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა1.70-დან 3.15-მდე)

		შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.70-დან 3.55-მდე) • ინტერვიუს შედეგები პირადი განვითარება .85

მნიშვნელოვანია ლიტერატურის წვლილი პიროვნულ განვითარებაში. გამოკითხულთა შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი იზიარებს ლიტერატურის მნიშვნელოვან როლს პიროვნული განვითარების პროცესში. ლიტერატურული ნაწარმოები ყოველთვის პასუხობს ადამიანების საჭიროებებს, პრობლემებსა და ღირებულებებს. ლიტერატურაში ასახული კონტექსტი, პირობები, გამოცდილება, ემოცია ნაცნობია მკითხველისთვის. ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა ლიტერატურის ამოსავალი წერტილია. ლიტერატურა სთავაზობს მკითხველს სამყაროს შეცნობის სხვადასხვა გზებს. ლიტერატურული დისკუსიების დროს სტუდენტები ცდილობენ მოიძიონ ტექსტში დასახული პრობლემების გადაჭრის გზები.

სტუდენტების წარმოსახვის უნარი მნიშვნელოვანია ლიტერატურული ტექსტის გააზრების პროცესში. მონაწილეების პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურის გამოყენება დისკუსიების დროს არის ეფექტური გზა გავზარდოთ წარმოსახვისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები. კერძოდ, მესამე ჯგუფის მონაწილეების 85% პროცენტის მიხედვით, ლიტერატურა ანვითარებს აზროვნების უნარს. ლიტერატურა სტუდენტებისგან მაქსიმალურ ინტერაქციასა და ჩართულობას მოითხოვს (Gajdusek, 1988). კითხვის დროს სტუდენტი ვალდებულია თავად გამოიტანოს აზრი. მკითხველსა და ტექსტს შორის ურთიერთქმედება სწორედ კითხვის პროცესში ხდება (Widdowson, 1979). მსგავსი კავშირის მეშვეობით, სტუდენტები ახდენენ ტექსტის გააზრებასა და ანალიზს შესასწავლი ენის

გამოყენებით. ლიტერატურა შთააგონებს მოსწავლეებს გაიაზრონ ტექსტის სიღრმისეული შინაარსი, რომელიც თავისმხრივ ანვითარებს ინტერპრეტაციის უნარს.

4.4 ლიტერატურის გამოყენების ეფექტურობა კომუნიკაციური უნარების განვითარების პროცესში

ცხრილი 4.55. დასკვნები

არეალი	**კატეგორიები**	**რიცხობრივი დასკვნები**
ლიტერატურის გამოყენება ანვითარებს კომუნიკაციურ უნარებს ლიტერატურული დისკუსიების საშუალებით	• ვერბალური კომუნიკაციის განვითარება • სიზუსტე • თავისუფალი მეტყველება	• პასუხები შეკითხვებზე (11-15) ყველა ჯგუფში ფორმაზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.60 დან 3.31-მდე) შინაარსზე ორიენტირებული (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.62-დან 3.27-მდე) შერეული მიდგომა (საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1.59-დან 3.57-მდე) • გრამატიკის შედეგები: წინასწარი გამოცდა, განმეორებითი გამოცდა 1 და განმეორებითი გამოცდა 2 ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა 64, 74.8, და 77

		შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა 66.1, 69.3, და70.8 შერეული მიდგომა 63.8, 78.1, და 80.8 • ლექსიკის შედეგები: წინასწარი გამოცდა, განმეორებითი გამოცდა 1 და განმეორებითი გამოცდა 2 ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა 60.4, 64.8, და 66.4 შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა 58.9, 69.9, და72.9 შერეული მიდგომა 61.8, 75.4, და78.8 • თითოეულ ჯგუფში წარმოთქმული გამონათქვამების რაოდენობა ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა: 1572 შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა: 1852 შერეული მიდგომა: 2112 • თითოეულ ჯგუფში სწორად წარმოთქმული გამონათქვამების რაოდენობა ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა: 1269

		შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა : 1284 შერეული მიდგომა: 1829 • სიზუსტის დონე ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა: .80 შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა : .69 შერეული მიდგომა:.87

ენის გაკვეთილზე ლიტერატურის გამოყენება დისკუსიის გამართვის საშუალებას იძლევა (Long & Porter, 1985); და ანვითარებს კომუნიკაციის უნარს (Enright & McCloskey, 1985). წარმოდგენილმა კვლევამ შეისწავლა ლიტერატურული ტექსტებისა და დისკუსიების როლი მოსწავლის ენობრივი კომპეტენციის განვითარებაში. დაკვირვებამ აჩვენა, რომ შემუშავებული მოდელის როლი ეფექტურია უცხოური ენის სასაუბრო უნარ-ჩვევების ფორმირებაში. მიღებული შედეგები და დასკვნები თანხვედრაშია შანანის, ბარნიცისა და დევიდჰაიზერის (Shanahan (1997); Barnitz et al. (1999); Davidheiser (2007)) მოსაზრებებთან, რომელთა მიხედვითაც ლიტერატურის ინტეგრირება ენის სწავლების პროცესში კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას გულისხმობს. ლიტერატურა მდიდარია ენის აუთენტური და რეალური მაგალითებით, რომელიც ზრდის მოსწავლის მოტივაციას მონაწილეობა მიიღოს ამ მაგალითების განხილვის პროცესში. მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ლიტერატურის როლი მნიშვნელობაზე ორიენტირებული ინტერაქციის ფორმირების პროცესში (Johnson, 1995). სტუდენტები მუდმივად ქმნიან მნიშვნელობას, აანალიზებენ და გამოხატავენ საკუთარ აზრებს (Swain, 1985).

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომის ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებულ მოდელებთან ინტეგრირების ეფექტურობის დამტკიცებას სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დისკუსიები ლიტერატურის შესახებ ხელს უწყობს უცხოური ენის შესწავლის პროცესში სასურველი შედეგების მიღწევას. კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობის აზრით, ლიტერატურული ტექტსები ახალ მასალას წარმოადგენდნენ სწავლის პროცესში. წინასწარი და განმეორებითი კითხვარების შედეგების ანალიზმა დიდი სხვაობა გვაჩვენა სტუდენტების ლიტერატურისადმი დამოკიდებულებაში. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ჩატარებულმა კითხვარმა გვიჩვენა, რომ სტუდენტებს დადებითად შეეცვალათ აზრი ლიტერატურის ენის სწავლების პროცესში გამოყენების შესახებ. აქვე გამოიკვეთა, რომ ლიტერატურა არის უმნიშვნელოვანესი წყარო ენის შესწავლის პროცესში. შედეგებისა და დაკვირვების პროცესის ანალიზმა გვიჩვენა სტუდენტების ჩართულობისა და მოტივაციის მაღალი დონე, მათი სურვილი გაცნობოდნენ სხვადასხვა კულტურებს და მონაწილეობა მიეღოთ სოციალური ურთიერთობების განვითარების პროცესში, რაც თავისთავად მათი ენობრივი კომპეტენციის განვითარებას ემსახურებოდა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების დიდმა ნაწილმა ენის შესწავლის პროცესში ლიტერატურის გამოყენება პერსონალური თვისებების განვითარებას დაუკავშირა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინტერვიუებისა და კითხვარების შედეგები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა ძალიან მცირე რაოდენობა ეჭვქვეშ აყენებდა ლიტერატურის ეფექტურობას ენობრივი კომპეტენციის განვითარების პროცესში, მონაწილეთა მნიშვნელოვნად დიდმა ნაწილმა დაადასტურა მისი ეფექტურობა შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე. მათთვის ლიტერატურა

აღმოჩნდა ენის შესწავლის ახალი და საინტერესო გამოცდილება, რამაც მისცა მათ საშუალება განევითარებინათ ენობრივი კომპეტენცია მათი მაქსიმალური ჩართულობისა და დამოუკიდებლობის გზით. წინასწარმა და შემდგომმა შეფასებებმა გვაჩვენა სტუდენტების მკაფიო პროგრესი ენაში. ჩვენს მიერ მიღწეული შედეგები ხაზსს უსვამენ ლიტერატურის ეფექტურ როლს გრამატიკისა და ლექსიკის სწავლებაში. ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებულმა მიდგომებმა საშუალება მისცა სტუდენტებს დაედგინათ მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი კავშირები.

დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიტერატურული დისკუსიები მნიშვნელოვანია შინაარსობრივი დატვირთვის მქონე კომუნიკაციური კონტექსტის შესაქმნელად. კვლევის განმავლობაში ჩატარებულ დისკუსიებს დიალოგის ფორმატი ჰქონდა, სადაც აზრთა გაცვლის პროცესში ხდებოდა ცოდნის ფორმირება. კვლევაში გამოყენებული ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა ითვალისწინებდა გრამატიკული სტრუქტურებისა და კომუნიკაციური ელემენტების ერთდროულად განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ დისკუსიებში შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებამ უზრუნველყო სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რაც თავისმხრივ მათ კომუნიკაციური უნარების განვითარებას უსვამს ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომის შედეგად კომუნიკაციური აქტივობების სიმრავლე გვქონდა, მაინც ნაკლებად შეიმჩნეოდა გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების დახვეწა სტუდენტებს შორის. შესაბამისად, ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრირების შედეგად მივიღეთ გრამატიკის, ლექსიკისა და კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარების ერთობლივი და ეფექტური სტრატეგიების შემუშავების გზები.

საბოლოო ჯამში, კვლევამ გამოავლინა ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობა უცხოური ენის შესწავლის პროცესში. კერძოდ, გამოიკვეთა სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარების ეფექტური სტრატეგიები საკლასო ლიტერატურულ დისკუსიებში ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების გზით. უნდა

აღინიშნოს, რომ მსგავსი მოდელის შემუშავებამ ხელი შეუწყო ზოგადად ენის შესწავლის პროცესს. ლიტერატურულმა დისკუსიებმა საშუალება მისცა სტუდენტებს გაეაზრებინათ კავშირი ენასა და მის კომუნიკაციურ მნიშვნელობას შორის. სასაუბრო უნარების შესამოწმებლად ჩატარებულმა შესაფებებმა გვიჩვენა სტუდენტების შესამჩნევი პროგრესი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა და მასალების რაოდენობა შეზღუდული იყო. საინტერესო იქნებოდა უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევის ჩატარება. აგრეთვე, მნიშვნელოვანი იქნებოდა შეგვესწავლა ლიტერატურული ჟანრების როლი მოსწავლეთა სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებაში. შესაბამისად, კვლევა მოითხოვს აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეულ შესწავლას მომავალში.

პუბლიკაციები, რომელშიც აისახება დისერტაციის ძირითადი იდეები

1) Mart, T. C. (2012). Developing Speaking Skills Through Reading. *International Journal of English Linguistics,* 2(6), 91-96.

2) Mart, T. C. (2015). The Effect of Reading on Improvement of Communication Skills. *Journal of Educational and Instructional Studies in the World*, 5(1), 39-46.

3) Mart, T. C. (2016). The Use of Literature in Language Teaching. *Journal of Educational and Instructional Studies in the World,* 6(2), 77-83.

4) Mart, T. C. (2015). Combining Extensive and Intensive Reading to Reinforce Language Learning. *Journal of Educational and Instructional Studies in the World*, 5(4), 85-90.

5) Mart, T. C. (2017). Literary Texts: A Means to Promote Language Proficiency. *Journal of Education in Black Sea Region*, 2(2), 44-55.